



بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيْمِ



დიანგოს საქმეთა  
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა  
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი  
ბილალ ილგაი



საქართველოს ხუკუმიტოების უნივერსიტეტი  
وقف تضامن مسلم و قرآن  
muslim GEORGIA uluslararası yardımlaşma vakfı

[www.muslimgeorgia.org](http://www.muslimgeorgia.org) [info@muslimgeorgia.org](mailto:info@muslimgeorgia.org)

[muslim.georgia.18](https://www.facebook.com/muslim.georgia.18) [muslim.georgia.54](https://www.facebook.com/muslim.georgia.54)

[@georgiaquran](https://twitter.com/georgiaquran) [@muslim\\_georgia](https://twitter.com/muslim_georgia)

[@muslimgeorgiaquran](https://www.instagram.com/muslimgeorgiaquran) [@muslimgeorgia](https://www.instagram.com/muslimgeorgia)



# Հօջո Ջանձոմօօ





## სარჩევი

გედრება და ცრემლი	7
გადარჩენის მიზეზი	20
ჰაჯის სულიერი მხარე	26
გედრება, გედრება... ჰაჯი	36
ჰაჯის სხვა განზომილება და წინაპართა სიკეთე	40
ლებბეიქ ალლაჰუმ्मე ლებბეიქ	48
სანეტაროსთან	51
მისი სიყვარული	55





# კერძო და ცოდნილი

დოც. დოქ. ფიქრეთ ქარამან

## პაჯი და ლვისმსახურება

ყოველი ლვისმსახურება სრულდება იმიტომ, რომ ლმერთმა ასე ბრძანა და მათი მიზანი ლვის კმაყოფილების მოპოვებაა. ამრიგად, ადამიანი ლვისმსახურების საშუალებით უახლოვდება ლმერთს, ევერება, გამოხატავს მასზე დამოკიდებლებას და ა.შ. ადამიანის გაჩენის მიზანიც ლმერთის შეცნობა და მისდამი თაყვანისცემაა. ყოველ ლვისმსახურებას მისთვის დამახასიათებელი სილამაზე გააჩნია. მისი სულიერი განზომილება მოქმედებს ადამიანის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციალური თვალსაზრისით. ამიტომ, ყოველი შუამავლის საერთო ვალდებულება ლვისადმი თაყვანისცემისკენ მოწოდება იყო. ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი, ადამიანო! თაყვანი ეცით ლმერთსა თქვენსა, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ

## 8 . ბავა მინდობის .∞—

და თქვენ უწინარეს ვინც იყო! ამგვარად,  
ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდი-  
საგან. (ბაყარა 21)

„და უეჭველად, ალლაჰი ჩემი ღმერთი-  
ცაა და თქვენიც! მაშ, თაყვანი ეცით მას, ეს  
ჰეშმარიტი გზაა! (მერიე 36)

ცხადია, დვოისმსახურების ძირითადი  
მიზანი დვოისადმი თაყვანისცემა, ბორო-  
ტებისგან თავის დაცვა, სწორი გზით სი-  
არული, ღმერთის ცნობა და მსახურებაა.  
გარდა ამისა, დვოისმსახურება ადამიანის  
შინაგან სამყაროსა და ზნეობას ამდიდ-  
რებს და ამასთანავე სულიერ წრთვნას  
უწყობს ხელს. ამ წერილით გვინდა ჰაჯზე,  
როგორც დვოისმსახურებაზე გესაუბროთ.  
მთელი ისლამური სამყარო წელიწადში  
ერთხელ ჰაჯისთვის ემზადება. თითოეუ-  
ლი ადამიანი, რომელიც ჰაჯზე აპირებს  
წასვლას, დღითიდღე უფრო და უფრო მეტ  
მდელვარებას განიცდის. ისინი ელოდები-  
ან იმ წამს, როდესაც სუნთქვაშეკრული,  
დიდი სიყვარულითა და მინდობით განიმს-  
ჭვალებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,  
მორწმუნების მიერ მთელი ცხოვრება ნა-  
ოცნებარი და ნალოდინები დრო დგება,  
როცა ისინი ქაბაში, მექასა და მედინაში  
ჩავლენ. დღეები და დამეები თითქოს ნელა  
მიდის. ყველა მომლოცველი დიდი ხნით

ადრე მზადებაშია და ერთი სული აქვთ, როდის გაემგზავრებიან. წასვლის წინ ემშვიდობებიან ყველას, ნაცნობს, უცნობს, ნათესავებს, მეგობრებს, ახლობლებს და პატიებას სთხოვენ. იზეპირებენ იმ ლოცვებს და ვედრებას, რაც იმ წმინდა ადგილზე ყოფნისას უნდა წაიკითხონ. იძენენ გზამკვლევებს, რომელბიც ჰაჯზე ყოფნისას მოძრაობაში დაეხმარებათ და ზოგადად ჰაჯის რიტუალების შესახებ ინფორმაციას აგროვებენ. მოკლედ, ყოველი მომლოცველი განსაკუთრებულ მზადებასა და მღელვარებაშია. მათ გულებში არსებული რწმუნა და ფიქრები მიწიერების სახლვრებს სცდება,

### ჰაჯის გზაზე წყალობა და მომდომება

ჰაჯი, როგორც ლვთისმსახურება სულიერი თვალსაზრისით ნამდვილად ამაღლვებელი და გრძნობებით დატვირთული რიტუალია. ჰაჯის დროს გატარებული ყოველი დღე ადამიანის ცხოვრებასა და ცნობიერებაში ყველაზე ეფექტურ და ძვირფას დროდ დარჩება. ჰაჯი წელიწადის გარკვეულ დღეებში სრულდება და ეს დღეები ძალიან სწრაფად გადის ხოლმე. შესაბამისად ყველა იმ მომლოცველს

მინდა ვურჩიო, რომ ასეთ მნიშვნელოვან  
 დღეებში ძირითადი ყურადღება და კონ-  
 ცენტრაცია გადაიტანონ ჰაჯის სულიერ  
 მხარეზე და დვოისმსახურებაზე და არა  
 დამდლელ მგზავრობაზე, სასტუმროზე, კვე-  
 ბაზე და ა.შ. ბუნებრივია ორგანიზაციუ-  
 ლი საკითხებიც მნიშვნელოვანია და მათი  
 მოგვარებისთვის ზრუნვაც აუცლებელი  
 რამაა, მაგრამ ჰაჯის ამ ფიზიკურ მხარეზე  
 ორიენტირება მისი ნამდვილი არსიდან და-  
 შორებას გამოიწვევს და უნდა ვეცადოთ,  
 რომ ჩვენთვის ჰაჯი და მასთან დაკავში-  
 რებული მომსახურება ტურისტულ მომსა-  
 ხურებად არ იქცეს. ზედმატი ფუფუნებისა  
 და სილუქსის მოლოდინები უნდა უკუვაგ-  
 დოთ, რადგან ეს ზოგად უკმაყოფილებას  
 და ჰაჯის მნიშნელობის ამქვეყნიური სურ-  
 ვილების ჩარჩოებში მოქცევას გამოიწვევს.  
 ბუნებრივია ერთ სივრცეში მყოფი მილიო-  
 ნობით ადამიანის საჭიროებების სრულად  
 და უნაკლოდ დაკმაყოფილება უკიდურე-  
 სად რთულია. მასთან შედარებით ძალი-  
 ან მცირე ჯგუფებთან მიმართებაშიც კი  
 ხშირად არ ხერხდება ორგანიზაციული  
 საკითხების იდეალურად წარმართვა. რო-  
 გორც აქამდე არსებული გამოცდილება  
 ცხადყოფს, ჰაჯთან დაკავშირებული ძირი-  
 თადი საორგანიზაციო საკითხები საუდის  
 არაბეთში მოგვარებულია. მგზავრობა, კვე-  
 ბა, კომუნიკაცია, უსაფრთხოება, ჯანმრთე-  
 ლობის დაცვა, მსხვერპლ შეწირვა და სხვა

მნიშვნელოვანი საკითხები დღითიდღე კი-  
თარდება და ამ მხრივ მიმდინარეობს უფ-  
რო და უფრო უკეთესი სერვისის შეთავა-  
ზების გეგმაზე მუშაობა. აქვე ისიც უნდა  
აღინიშნოს, რომ მომდოცველთა რაოდე-  
ნობა ყოველწლიურად მატულობს, ხოლო  
ჰაჯის რიტუალისთვის განკუთვნილი დღე-  
ები შეზღუდულია, ამიტომ ყველა პრობლე-  
მის მოგვარება შეუძლებელია.

რა თქმა უნდა ჰაჯი მხოლოდ სხეულის  
მოგზაურობა კი არა, ამავდროულად სუ-  
ლის, გრძნობებისა და ფიქრის მოგზაურო-  
ბაცაა. კონკრეტულ დროსა დაადგილას  
მისვლა, ლოცვა, ვედრება, იქაური ჰაერის  
სუნთქვა და იქაური ატმოსფეროს შეგრ-  
ძნება ადამიანის რელიგიური ცხოვრების  
მნიშვნელოვანი მომენტებია. ჰაჯის დროს  
შესასრულებელი ღვთისმსახურება, ვედრე-  
ბა და ლოცვებია იმის მიზეზი, რომ ადამი-  
ანის სულიერი სამყარო ახალ ჰორიზონ-  
ტებს იძენს. ჰაჯის დროს ხორციელდება  
ყველა ის მნიშვნელოვანი აქტივობები,  
რომლებიც ადამიანის სულიერი ცხოვრე-  
ბისთვის მრავლისმეტყველია. ესნია: რწმუ-  
ნა, მოთმინება, ნების გამოხატვა, ნამაზი, ტა-  
ვაფი, საი, გაქფა, მოწყალება, მსხვერპლშე-  
წირვა, ვედრება, ცრემლი, სამყაროსა და  
გამჩენზე ფიქრი, ადამიანებთან შეხვედრა,  
გაცნობა, ურთიერთდახმარება, დისციპლი-  
ნა, მეგობრობა, ძმობა და სხვა. შუამავალმა

იცოდა პაჯის დროს შესაძლო სირთულეების შესახებ და პაჯის წინ დმერთს ეველრებოდა გაეიოლებინა: „ღმერთო, პაჯის შესრულება მსურს. გამიოლე და მიიღე ჩემგან“. პაჯის შესრულებისას არსებობს გარკვეული სირთულეები, რაც ბუნებრივია სხვა სახის ღვთისმსახურების დროს არ გვხვდება. როგორც უკვე მოგახსენეთ, მიუხედავად თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გადაადგილების სერვისის გაიოლებისა, პაჯის დროს მოსალოდნელი სირთულეების სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია. სად და რა მოულოდნელობა იჩენს თავს, ამას წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ. ასეთ დროს, ზოგჯერ ადამიანებს ნებისყოფა დალატობთ ხოლმე. ყოველწლიურად, პაჯის სეზონზე მსოფლიოს ყველა კუთხიდან მომლოცველები ერთ კონკრეტულ ლოკაციაში იყრიან თავს და ასეთი გრანდიოზული ხალხმრავლობა, მექაში, არაფატზე, მინაში, მუზედელიფში და მედინაში გადაადგილების შეზღუდვას იწვევს. ასეთ ხალხმრავლობაში მანევრირება იოლი არ არის. ასეთი ხალხმრალობა განკითხვის დღის ერთგვარი ანალიგია. აწ გარდაცვლილი ნეჯიფ ფაზიდ ქისაქურექი თავის მემუარებში პაჯის შესახებ წერდა: „არაფატი, უკუდეგანო ხეობა... ხეობა რა სიტყვაა?... არაფატი დიდი მოედანია. მთელი კაცობრიობა აქ იკრიბება, ხელებს ადაპყრობს და ღმერთს მიტევებას სთხოვს. ეს არის ერთ-

ერთი სანახაობა განკითხვის დღიდან. ეს არის ადგილი, სადაც პირველი ადამიანი და პირველი შუამავალი დმერთს მიტევებას სოხოვდა და ის შეწყალებულ იქნა. ეს არის ადგილი, სადაც წყალობის ქარიშხალი ფოთლებივით წაიღებს ცოდვებს და მორწმუნეთა ვედრება მიღებული ხდება. ეს არის ადგილი, სადაც ყველა შუამავალი, ყველა წმინდანი მზადყოფნაშია, რათა პაჯის დვთისმსახურება შეასრულოს.“

### ლოცვა, ვედრება და ცრემლი

პაჯზე წასული მომლოცველები შეიძლება განსხვავდებოდნენ ეროვნებით, კანის ფერითა და სამეტყველო ენით, მაგრამ მათი რწმენა, დვთისმსახურება, ვედრება, მიზანი და ცრემლი ერთნაირია. დედამიწის ოთხივე მხრიდან მოსული მილიონობით მომლოცველი ერთი და იგივე „პაროლის“ წარმოოქმით ერთიანდებიან. „გვიბრძანე დმერთო, გვიბრძანე! შენ არ გყავს მოზიარე. ბრძანე! უეჭველია, რომ შენ ყოველგვარი განდიდების, წყალობის, ყველაფრის ფლობისა და მეუფების დირსი ხარ. შენ არ გყავს მოზიარე!“.

ვედრება, ეს არის დმერთის სიდიადის წინაშე მსახურის უმწეობის აღიარება და მისგან წყალობისა და შემწეობის ოხოვნა.

ვედრების დროს მავედრებელის მიზანია ღმერთს თავისი მდგომარეობა წარუდგინოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვედრება ღმერთსა და მსახურს შორის პირდაპირი კავშირია. ეს არის უმოკლესი გზა, ღმერთთან დასაკავშირებლად. ამ თვალსაზრისით, ღვთის წინაშე, ადამიანის ფასი ვედრებითაც განისაზღვრება. შემდეგი აიათებიც ამის დასტურია:

„უთხარი: „თუ არ იქნება თქვენი ვედრებანი, რატომ მოგანიჭებთ ღირსებას ღმერთი ჩემი, როცა ის ცრუდ შერაცხეთ? უეჭველად, მალე ის (სასჯელი) გარდაუვალი შეიქნება!“ (ფურფან 77)

„და ბრძანა თქვენმა ღმერთმა: „შემუვედრეთ და შევისმენ თქვენს ვედრებას. უეჭველად, რომელნიც მედიდურობას ავლენენ ჩემდამი მსახურებაში, შევლენ ჯოჯოხეთში დამცირებულნი“. (მუმინ 60)

წმ. აიათებისა და ჰადისების მიხედვით ვედრება საკითხის, მიზნისა და შინაარსის მიხედვით ყალიბდება. შესაბამისად, ჰაჯის დროს აღსავლენი ვედრების შინაარსი ძირითადად ღმერთის ერთადერთობის დასტურს, მის განდიდებას, ქებას, მისდამი რწმენას, მისგან ბოძებული წყალობის გამო მადლიერებას, მისდამი მინდობას,

მონანიებას, მიტევების თხოვნას, შეწყნარებას და მსგავს საკითხებს შეიცავს. გარდა ამისა, ვედრების დროს ვედრების ფორმა, წესი, დრო, ადგილი და ადამიანის შინაგანი სამყაროც მნიშვნელოვანია. პაჯის დროს, ამ ძვირფას დროსა და ადგილას ლოცვავედრება, სულიერი სიმშვიდე, გულის სიწმინდე, მღელვარება და ცრემლი სწორედ ის გამორჩეული მომენტია, რათა ღმერთან დავახლოვდეთ. ეს შესაძლებლობა და ხელსაყრელი მომენტი რიგიანად უნდა იქნას გამოყენებული. ახლა შემოგთავაზებთ რამოდენიმე მოკლე ვედრებას იმ იმედით, რომ ისინი ჩვენში შესაბამის გრძნობებს გააღვიძებენ.

წმინდა მოგზაურობის დაწყების წინ შემდეგი ვედრების წაკითხვაა რეკომენდირებული: „ღმერთო! მხოლოდ შენ გევედრები დახმარებას და მხოლოდ შენ მოგენდობი. ღმერთო, ეს საქმე და მგზავრობა გამიიოლე. მიბოძე იმაზე მეტი წყალობა, ვიდრე გევედრები. დამიფარე ყოველგვარი ბოროტებისგან. ღმერთო მომმადლე სულიერი სისალვათე და საქმეები გამიადგილე“. ტავაფის დროს კი, ყოველი წრის დასაწყისში შემდგენ ვედრებაა კარგი: „ღმერთო, ყოველი ნაკლოვანებისგან შორს ხარ. ყველანაირი ქება-დიდება ალლაპისთვისაა. არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაპისა. ის უდიადესია. ძლევამოსილება მხოლოდ

და მხოლოდ ღმერთის ხელშია. ღმერთო, შენი მწამს, შენი წიგნის მწამს, შენთვის მოცემული სიტყვის ერთგული ვრჩები და შუამავლის სუნაზე მიყოლის გზით ტა-ვაფს ვასრულებ“.

ქააბას შესასვლელის წინ ან კარების გასწვრივ რომ მივადწევთ შემდეგი ვედრება აღვავლინოთ. „ ღმერთო, ეს შენი სახლია. ჰარემი, შენი ნაკრძალია. უსაფრთხოება, შენი დადგენილი უსაფრთხოებაა. ეს არის ადგილი მათთვის, ვინც ჯოჯოხეთის ცეცხლისგან შენ მოგეკედლება“. ზემზე-მის წყაროს დალევისას სასურველია შემ-დეგი ვედრების წაკიტხვა: „ღმერთო, გთხოვ სასარგებლო ცოდნა და მრავალი სარჩო მიწყალობე და ყოველგვარი დარდისა და ავადმყოფობისგან გადამარჩინე“.

ეს ლოცვები მხოლოდ რამოდენიმე მათგანია მათ შორის, რომლებიც ტავა-ფის დროს, არაფატზე, საფასა და მერვეზე, მუზდელიფში, მინაში, მედინაში და გზებზე უნდა წავიკითხოთ. მათი კითხვისას თუ სწორი დროისა და ადგილის თანხვედრას გავითვალისწინებთ უფრო მეტ მნიშნელობას შეიძენენ. ამ დროს გულები რბილდება, სულიერი სამყარო იხსნება, ცრემლი იწყებს დინებას და ბოლოს ცოდვებიც მოგ-ვეტევება. ჰაჯი, ეს არის დვთისმსახურება,

რომლის დროსაც ამ წმინდა ადგილებში  
მონანიება, ვედრება, წყალობა, მიტევება,  
ცხონება და ცრემლი ერთად იყრის თავს.  
შუამავალი მათ შესახებ, ვინც წესისამებრ  
შეასრულებდა ჰაჯს, ბრძანებდა: „ვინც  
ღვთის გულისათვის მოილოცავს და ცუდი  
სიტყვისა და ქცევისგან (ღმერთის კმაყო-  
ფილებასთან შეუსაბამო) თავს შეიკავებს,  
(გარდა სხვათა უფლებების დარღვევისა)  
ყველა ცოდვა მიეტევება და ჰაჯიდან რო-  
გორც ახალშობილი, ისე დაბრუნდება“.

გარდა ამისა, შუამავალი ბრძანებდა:  
„ღვთის გზეზე მიღებული ჰაჯის ჯილდო  
სამოთხეა.“ (მუსლიმ, ჰაჯ 437, 1, 983)

### ჰაჯის დასასრული და დაბრუნება

განსაკუთრებით სამწუხაროა ჰაჯის  
დასასრულს მიახლოებული დღეები. მომ-  
ლოცებელი უკვე შეჩვეულია ამ წმინდა  
ადგილებს. მესჯიდი ჰარამის, ქაბას, ტავა-  
ფისა და მესჯიდი ნებევისგან განშორება  
არც ისე იოლია. ამ დროს ადამიანს უკან  
დაბრუნების გამბედაობას ისევ ცრემლი  
და ვედრება სძენს. და რა თქმა უნდა არის  
იედიც... ხელახლა დაბრუნებისა და ამ ად-  
გილების ხელახლა ხილვის სურვილი. არ

უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა დასაწყისის, ყველა მოგზაურობის დასასრული არსებობს. ბუნებრივია ამ წმინდა მოგზაურობასაც აქვს თავის დასასრული. ყველაზე დიდი ნუგეში აქ ნახული, განცდილი და მოპოვებული მაღლია. აქ მოპოვებული რამ, იქნებ ცხოვრებაშ ყველაზე ფასეული რამაა.

გამომდინარე აქედან, ამ ძვირფასი მოვალეობის შესრულებით მიღებული კმაყოფილების განცდისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დირებულებებს მოფრთხილება და დაცვა უნდა. შესაბამისად არ უნდა დაგვავიწყდეს პასუხისმგებლობაც. დაუშვებელია მორწმუნებ თქვას, მე ჩემი მოვალეობა უკვე მოვიხადეო და აღარაფერი გააკეთოს. მორწმუნებ შრომა და მომსახურება არ უნდა შეწყვიტოს. უფრო მეტიც, ჰაჯი მისი ცხოვრების ახალი წელთაღრიცხვის საწყისი უნდა გახდეს. ასევე სასურველია ისეთ საქმიანობას მიანიჭოს უპირატესობა, რაც საზოგადებას წარმატებას, სარგებელს და სოციალურ თუ კულტურულ წინსვლას შეუწყობს ხელს. ჰაჯად წოდებული ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების დამკვიდრებისთვის უნდა იღწვოდეს. მის სანახავად მოსულ ნათესავებს, მეგობრებსა თუ ახლობლებს ჰაჯის შესახეს დაუზარებლად უნდა მოუყვეს და შთაბეჭდი-

ლებები ლამაზი ფორმით გაუზიაროს. რა ბედნიერია ყველა ის მომლოცველი, რომელთა რწმენა, გული და ფიქრი უკეთესი ხდება, ვიდრე პაჯად წასვლამდე იყო. რა ბედნიერი არიან ისინი, ვინც პაჯის სული-ერი აღზრდის წრთვნა და იქაური ატმოს-ფეროდან თავისი წილი მიიღო.



# გოდინების მიხედვა

პროფ. დოქ. რამაზან ალთინთაშ

ლმერთის ლწმენას რომ მივაღწიოთ რა თქმა უნდა დმერთის ნებაა საჭირო. თუმცა ლვთიური ნება, როგორც ძალდატანება, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ. ამ მხრივ ადამიანის მცდელობა და მომდომება დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ადამიანს ბოძებული აქვს თავისუფალი ნება, რომლის საშუალებითაც შეუძლია ირწმუნოს ან უარყოს. თუმცა, ბუნებრივია ეს პროცესი დმერთის ნების ფარგლებს გარეთ ვერ განხორციელდება, მაგრამ ლვთიური სიბრძნე ადამიანის თავისუფალ ნებას კი არ ხელყოფს, არამედ ხელს შეუწყობს და განხორციელებას უზრუნველყოფს. ტრადიციული ისლამური გაგებით ადამიანი რამეს მოისურვებს, მოიწადინებს და დმერთი მას გააჩენს. ასეა სწორ გზაზე დადგომის საქმეც. ადამიანი მოისურვებს და დმერთი სწორ გზაზე დააყენებს, რადგან ის სწორ გზაზე დამდგენია. დმერთმა ადამიანს რამოდენიმე გზა და საშუალება აჩვენა, რათა ადამიანს სწორ

გზაზე დადგომა მოეხერხებინა. ამ მხრივ უპირველესი ყურანია, შემდეგ შუამავლები, სწავლულები და სხვა და ამ ყველაფერთან ერთად ქაბაც ერთ-ერთი იმ საშუალება-თაგანია, რომელიც ადამიანს გადარჩენასა და სწორ გზაზე დადგომაში დაეხმარება. ქა-აბა არის ღმერთის ერთობისა და სიდიადის ერთგვარი ნიშანი და ის ამავდროულად ჰეშმარიტი ღვთისმსახურებისთვის დედა-მიწაზე აგებული პირველი სალოცავია.

1 ყურანის მიხედვით ქაბას სულიერი ფასეულობა და მიზიდულობა განპირობებულია რამოდენიმე მიზეზით და მათგან ერთ-ერთი მაიდეს სურას 97-ე აიათშია ნაბრძანები: „ადამიანთა არსებობისთვის დაადგინა“) ასევე ყურანში ნაბრძანებია რომ ყოველ ადამიანს თუ ხალხს გააჩნია მიმართულება, საითაც მიისწრაფვის. ქაბა არის მუსლიმების ლოცვის მიმართულება, საითაც ისინი მიისწრაფვიან როგორც ფუ-ზუკურად, ისე სულიერადაც. ქაბას გადა-ტანითი მნიშვნელობით ღმერთის სახლს უწოდებენ და ის ამავდროულად ის არის წმინდა ადგილი, რომელიც მთელი მსოფ-ლიოს მუსლიმებისათვის უდიდესი მნიშვ-ნელობის მქონეა. ის წმინდა ადგილია, რო-გორც ფიზიკური თვალსაზრისით, ისე სუ-ლიერადაც. ყურანში ნაბრძანებია: „მათი მსხვერპლად შეწირვის ადგილია უპირვე-ლესი სახლი!“ (პაჭ 33)

მეორეს მხრივ ქააბა არის ადგილი, სა-  
დაც ჩადიან პაჯისა და უმრეს შესრულე-  
ბის მსურველები და მრავალი პიროვნუ-  
ლი თუ სოციალური სარგებელის მიღებას  
ახერხებენ. ამდენად ის არის ბარაქისა  
და ასევე სულიერი გადარჩენის წყარო.  
ეს ყველაფერი ნაბრძანებია ალი იმრანის  
სურას 96-ე აიათში: „უეჭველად, სამყა-  
როსადმი ბარაქად და ჭეშმარიტ გზაზე  
დასადგინებლად უპირველესი სახლი (სამ-  
ლოცველო) სწორედ, რომ ბექაში (მექაში),  
იქნა აღმართული ხალხთათვის.

ქააბა ისლამამდე და ისლამის შემდე-  
გაც ყოველთვის ინარჩუნებდა და ინარჩუ-  
ნებს ეკონომიკური და სულიერი ცენტრის  
ადგილს. საკითხის ამ თვალსაზრისით  
განხილვისას ცხადი ხდება, რომ ქააბას  
ეს თვისება, მისი ბარაქიანობა მართლაც  
დაცულია და შესაბამისად სულიერი სიმ-  
დიდრის გვერდით მატერიალური დოკ-  
ლათის მომტან ადგილადაც შეგვიძლია  
მივიჩნიოთ. ასეთი ხალხმრავალი ადგი-  
ლიდან სარგებელს შოულობენ როგორც  
მუსლიმები, ისე არამუსლიმებიც. აქ ხდება  
იმპორტ-ექსპორტის დიდი ბრუნვა.

ასევე ალი იმრანის სურას 97-ე აიათში  
ნაბრძანებია, რომ ქააბა აშენებულია „ჭეშ-  
მარიტ გზაზე დასადგინებლად“. შესაბამი-

სად, ეს არის ადგილი რომელიც მთელი ისლამური სამყაროს ლოცვის მიმართულებას წარმოადგენს და ამ გაგებით ის ღმერთთან მისაყვან ადგილად ითვლება. ქაბა სამყაროსთვის გადარჩენის მიმართულება. ამის შემდეგი დასტური ისაა, რომ ყველაზე უსაფრთხო თავშესაფარია. სწორ გზაზე დგომისა და სულიერების ამაღლებისათვის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი ფაქტორია. იქ ჩასული მორწმუნე ქაბას საშუალებით დიდ ცვლილებებს განიცდის. ეს ცვლილებები მომლოცველთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე მოქმედებს და შესაბამისად დედამიწის ყველა კუთხეში და ყველა სფეროში ვრცელდება.

როგორც მოგახსენეთ, ისლამის მიხედვით ჰაჯისა და უმრეს შესასრულებლად მომლოცველები მექაში ჩადიან. მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსული მომლოცველების ეს უზარმაზარი თავყრილობა ისლამის უნივერსალური ძმობის გამოფენაა და მექა საამისოდ საუკეთესო პლატფორმას წარმოადგენს. ამრიგად, აქ ჩამოსული მომლოცველების გულსა და გონებაში ჩასახლდება ისლამის უნივერსალური მცნებები და აზრს დაკარგავს უმეცრების ხანის გადმონაშთი წესები, ცრურწმენები, კლასობრივი თუ რასობრივი განსხვავებულობა, ეთნიკური და გვაროვნული პრივალეგიები და სხვა. ამ წარმავალი, მატერი-

ალური უპირატესობების მაგივრად ყველა  
მორწმუნეს სწამს, რომ უპირატესობა მხო-  
ლოდ და მხოლოდ ღვთისმოშიშობაშია.  
ცნობილი ამერიკელი მწერალი მალკოლმ  
იქსი, რომელიც ცხოვრების რაღაც პერი-  
ოდში შავკანიანობის გამო ჩაგვრას გა-  
ნიცდიდა და ამის გამო თეთრკანიანებზე  
ძალიან გაბრაზებული იყო, თავისივე სახე-  
ლობის წიგნში წერს:

„პაჯზე წასვლამ ჩემი მსოფლმხედვე-  
ლობა საკმაოდ გააფართოვა. ამ მოგზა-  
ურობამ ჩემს სულ ში ისლამის ახლებური  
გაგება აღმოაცენა. ამ წმინდა მიწაზე გა-  
ტარებულმა ორმა კვირამ უფრო მეტი რამ  
მანახა, ვიდრე ამერიკაში გატარებულმა 39-  
მა წელმა. მე აქ გავიცანი ყველა ხალხი  
თავიანთი კანის ფერით. მე აქ დავინახე,  
როგორია სრული თანასწორობა და ძმობა.  
მე აქ გავიგე, რომ არც თეთრკანიანების  
ერთი ხელის მოსმით წაშლა და ერთმა-  
ირად მიჩნევაა სწორი დამოკიდებულება.  
პაჯის ეს სულირება, ეს მრავალფეროვნება  
რომ მთელ მსოფლიოში საკმარისად გავრ-  
ცელდეს, ისლამის მიმდევართა რაოდენობა  
ორჯერ და სამჯერ გაიზრდება.“

როგორც ვხედავთ, ამერიკელი მუსლი-  
მის ეს დამოკიდებულბა ცხადად აჩვენებს,  
რომ ქააბა სწორი გზის პოვნის უნიკალუ-  
რი საშუალებაა.

შედეგად ჩანს, რომ ქააბა ნამდვილი თავისუფლების სიმბოლოა. ამ თვალსაზრისით მის ამ მნიშვნელოვან მხარესთან ერთად, ისიც ცხადია, რომ ქააბა ადამიანისთვის ადამიანობის გამოხატულების საუკეთესო ადგილია. ქააბა და მის ორგვლივ არსებული ტერიტორია მათ უკან თავიანთ მნიშვნელობას საუკეთესოდ წარმოაჩენს. ადამიანი სწორედ იქ ყოფნისას გააცნობიერებს დმერთის სიდიადეს და ასევე გაითავისებს რწმენის სიძლიერესა და ნამდვილი თავისუფლების ფასს. ამრიგად კოდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ ქააბას და მესჯიდი ჰარამის ამ მნიშვნელოვან ფუნქციაზე, რაც მდგომარეობს იმაში,, რომ ის მთელი ისლამური სამყაროს გულია. დედამიწაზე შიმშილის, უბედურებისა და კაცისმკვლელი ომების ეპოქაში მხოლოდ ქააბას ეს უხმაურო დამოძღვრა და გზის ჩვენება მოიტანს რეალურ მშვიდობას. ჩვენ, ყველა მუსლიმი ლოცვის დროს ქააბას მიმართულებით ვდგებით და ეს დგომა მხოლოდ ფიზიკური დგომით არ უნდა შემოიფარგლოს. საჭიროა მთელი ჩვენი არსებითა და მსოფლმხედველობით დავდგეთ ქააბას მიმართულებით. სწორედ ამ დროს ქააბა გახდება რეალური გზის მაჩვენებელი მთელი კაცობრიობისთვის.



# პატის სულიერობის შემზე



ესმა საინ

დვთისმსახურება თავისი არსისა და  
მიზნის მიხედვით მსახურის მიერ გამჩე-  
ნის სიდიადის წინაშე თავისი უმწეობის  
წარმოჩენასა და დადასტურებას გამოხა-  
ტავს. ეს არის გამოხატულება ამ უკიდე-  
განო სამყაროში ადამიანის ადგილისა და  
დამოკიდებულებისა. ადამიანის ეს სული-  
ერი მდგომარეობა გამჩენთან პირდაპირი  
კომუნიკაციაა და ის ადამიანის ბედნიე-  
რებას, საკუთარი თავის შეცნობას, საზოგა-  
დოებასთან თანაცხოვრების სწავლას და  
საბოლოო ჯამში საზოგადოებრივ ცხოვ-  
რებაში კეთილდღეობისა და მშვიდობის  
უზრუნველყოფას ემსახურება.

პაჯი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დვთისმ-  
სახურებაა და ისლამის ძირითადი ხუთი  
საფუძვლიდან ერთ-ერთს წარმოადგენს.  
პაჯი, როგორც დვთისმსახურება პირით  
მეცხრე წელს გახდა სავალდებულო. პა-  
ჯის, როგორც დვთისმსახურების ვალდე-

ბულება დადასტურებულია წმინდა ყურანითა და სუნას მოძღვრებით. ყურანში, კერძოდ ალი იმრანის სურას 97-ე აიათში ნაბრძანებია შემდეგი: „იქაა ცხადი სასწაულები, სადგომი იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია . ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო, უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა.

შუამავალიც ჰაჯის მნიშვნელობას განმარტავდა და ჰაჯის შესრულებისას საჭირო რიტუალებს თავად აჩვენებდა მიმდევრებს.

ჰაჯის, როგორც დვთისმსახურების ძორიტადი ელემენტები და მისი სულიერი მნიშვნელობა შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: იჰრამში შესვლა განკიტხვის დრის სიმბოლოა, როცა მომლოცველი მთელი თავისი არსებით ქედს იდრეკს დვთის წინაშე და ამქვეყნიურ ყოველგვარს სიამეს შორდება. ეს არის ადამიანის გაჩენის საწყისთან დაბრუნების გამოხატულება.

თეთრი იჰრამით შემოსვა სუდარის სიმბოლოა. ეს არის ნიშანი სიკვდილამდე სიკვდილისა. თეთრ სუდარაში ჩაცმული მომლოცველების ზღვა ერთის მხრივ თა-

ნასწორობის გამოხატულება, ხოლო მეორეს მხრივ განკითხვის დღის იმიტაციაა. თითქოს ადამიანი ისეთივე სუფთა და განწმენდილი წარსდგება ღმერთის წინაშე, როგორიც თავიდან დედამიწას მოეკლინა.

იპრამი ამქვეყნიური დამოკიდებულებებისგან თავის დაღწევის სიმბოლოა. იპრამში ყოფნისას ყველა ის სიტყვა და ქმედება აკრძალულია, რომლებიც საზოგადოებრივ სიმშვიდეს და ერთანობას საფრთხეს უქმნის. ასევე აკრძალულია ყველა ის ქმედება, რაც ამქვეყნიურ სურვილებსა და გამორჩენას აღვიძებს.

არაფატზე დგომა განკითხვის დღეს ერთად შეკრებილი და განკითხვის მოლოდინში მყოფი ადამიანების სიმბოლოა. ეს პროცესი ადამიანებს განკითხვის დღესა და ღმერთის წინაშე წარდგომის მომენტს ახსენებს. ჰაჯზე მისული მომლოცველუბის მიზანი ღმერთთან დაახლოებაა.

არაფატზე დგომით მომლოცველი თავისი გაჩენის არსეს ჩასწვდება და განკითხვის პროცესს წარმოიდგენს. ასეა, როცა ადამიანი ნამაზის ლოცვისას ფეხზე დგას და ადასტურებს, რომ განკითხვის დღის მეუფე მხოლოდ და მხოლოდ დიადი

გამცენია. მევლანას გადმოცემით ნამაზზე მდგომი მლოცველები ასე მწკრივებად მდგარ, განკითხვის მომლოდინე სულებს წარმოადგენს. იმ დღეს ყოველ ადამიანს ჰქითხავენ, თუ სად დახარჯა სიცოცხლე, მისი ნამოქმედარი რა არის, როგორ იცხოვრა...

ფეხზე მდგომი მლოცველი თითქოს ამ შეკითხვების სიმძიმეს ვერ უძლებს და ქედს იხრის, მერე ძირს ემხობა და სეჯდეს ასრულებს. ადამიანი დღეში ხუთჯერ განიცდის განკითხვის სიმძიმეს და არაფატზეც ამ სულიერ ზეამაღლებას გრძნობს.

ამის შემდეგ თელბიეს პროცესი იწყება, რომლის დროსაც მომლოცველები გამჩენის სიდიადესა და ყოვლადძლიერებას ლოცვებით წარმოთქვამენ, ქააბასთან მოდიან და მრავალგზის ტავაფით თაყვანისცემას გამოხატავენ.

თელბიეს დროს მომლოცველი ვედრუბას აღავლენს. ღმერთო, მიხმე და მთელი ჩემი არსებით გეახელი. შენი ბრძანება უზენაესია. მოვედი შენს წინაშე სწორუპოვარო. დიდება შენდა. შენ არ გაგაჩნია ტოლი და სწორი.

ჯუნეიდი ბადდადი თავის მოსწავლეს ასე მოძღვრავდა: „თელბიეს დროს თუ

გამჩენისგან შენი ვედრების პასუხი ვერ  
მიიღე, თელბიე არ შეგისრულებია.“

ტავაფი სამყაროსა და სიცოცხლის  
არსეს, დვთისადმი სრულ მინდობასა და  
თაყვანისცემის სიმბოლოა. ეს არის ერთი  
ღმერთის რწმენის დადასტურება და დვთი-  
სადმი თაყვანისცემის გამოხატულება.

ზოგიერთი დიდი სწავლული ჰაჯად  
ყოფნას შემდეგნაირად აღწერს: „როდესაც  
პირველად წავედი ჰაჯზე ქაბა დავინახე,  
ხოლო ქაბას პატრონი -ვერა. როდესაც  
მეორედ წავედი ჰაჯზე დავინახე როგორც  
ქაბა, ისე მისი პატრონიც, ხოლო მესამედ  
როცა წავედი მხოლოდ ქაბას პატრონი  
დავინახე“. ყველა დვთისმსახურების და  
ასევე ჰაჯის მიზანი დიადი ღმერთის ნე-  
ბის, კმაყოფილებისა და სიდიადის დანახ-  
ვა.

როგორც პლანეტები ტრიალებენ მზის  
გარშემო და ამით დვთისადმი თაყვანისცე-  
მას გამოხატავენ, ასეა ტავაფის დროსაც,  
როდესაც მომლოცველები ქაბას ირგ-  
ვლივ ტრიალებენ. მომლოცველი ამ დროს  
მთელ სამყაროსთან ერთად დვთისადმი  
თაყვანისცემის პროცესშია ჩართული.

ჯუნეიდი ბალდადი თავის მოწაფეს  
არიგებდა, რომ თუ მსხვერპლის შეწირვი-

სას არ იფიქრებდა, რომ ამით საკუთარ სურვილებსა და ცდუნებებს კლავდა, ისე მსხვერპლი არ იყო შეწირული. შესაბამისად ჰაჯობის დროს მსხვერპლის შეწირვა საკუთარი ეგოიზმისა და ამპარტავნების შეწირვად უნდა გვესმოდეს და ამრიგად ამ რიტუალის სულიერი ფასეულობებისგან მაქსიმალურად უნდა ვისარგებლოთ.

ამრიგად ჰაჯის დროს მსხვერპლის შეწირვის დროს საკუთარ ცდუნებებს და ცოდვებისკენ მიდრეკილებებს ვკლავთ.

მევლანა ამბობდა, რომ ადამიანი, რომელიც ნამაზს იწყებს ფრაზით „ალლაჰუ ექ्बერ“, ეს ნიშნავს: „დმერთო, ჩვენ შეწირულნი ვართ შენდამი“. მსხვერპლის შეწირვისასაც „ალლაჰუ ექ्बერ“ -უნდა წარმოვთქვათ.

ჰაჯი და ნამაზი ორი ყველაზე ეფექტური იარაღია ადამიანის ცდუნებების წინააღმდეგ. ამ დროს ადამიანის სურვილებსა და ცდუნებებს უზენაესი ღმერთის წინაშე მსხვერპლად ვწირავთ.

ჰაჯობის დროს ეშმაკის ჩაქოლვის რიტუალიც ადამიანის ბუნებაში არსებული ცოდვისკენ მიდრეკილებებისა და ცდუნებების წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოა.

ამით ადამიანი სიმბოლურად ცდილობს საკუთარი ნება წინ წამოსწიოს და ეშმაკის ზეგავლენებისგან თავი დაიცვას. ყოველი ქვის სროლისას ადამიანი საკუთარ თავში არსებულ უარყოფით მიღრეკილებებსა და სურვილებს ებრძვის და ცდილობს დათრგუნოს.

ჯუნეიდი ბალდადი ამ რიტუალის შესახებ თავის მოსწავლეს ასე მოძღვრავდა: „ქვების სროლისას თუ საკუთარი ცდუნებების ჩაქოლვა ვერ იგრძენი, ეშმაკის ჩაქოლვა არ შეგისრულებია“.

წმინდა ადგილების მოლოცვა ყოველი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანი ამ დროს რწმენის საწყისებთან კავშირს განაახლებს. ყოველი მუსლიმისთვის მექას მოლოცვა განსაკუთებული მოვლენაა, რადგან ის შეძლებს თვალწინ გააცოცხლოს შუამავლისა და მისი მეგობრების ბრძოლა ისლამის გავრცელებისთვის. ეს ნოსტალგიური რწმენა მომლოცველს უფრო მძაფრ დინამიკას უვითარებს და განსაკუთრებული მგრძნობელობით აღავსებს.

დიპლევის მიხედვით ადამიანის სულიერების განწმენდის ერთ-ერთი გზა დიდ მორწმუნეთა მიმართ პატივისცემა და

წმინდა ადგილების მოლოცვაა. ასეთ ადგილებში ყოფნისას ადამიანს განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა ექმნება.

მაგალითად, შუამავალ იბრაჟიმის სამყოფელში ყოფნისას, მორწმუნე გრძნობს შუამავლის გამორჩეულ თვისებებს: ღვთისადმი აბსოლუტურ მინდობას, ღვთისმორჩილებსა და მაღალ ზნეობას.

იბრაჟიმი იყო შუამავალი, რომელიც მომავალი თაობებისთვის ლოცულობდა და ღმერთს ევედრებოდა: „ღმერთო ჩვენო! და მოავლინე მათში შუამავალი მათივე წიაღიდან, რომელიც წაუკითხავს მათ შენს აიათებს, ასწავლის მათ წიგნს და სიბრძნეს, განწმენდს მათ. უეჭველად, შენა ხარ ძლევამოსილი, ბრძენი!“ (ბაყარა 129)

ჰაჯის დროს ერთ-ერთი რიტუალი „საი“-ა. ეს არის სიმბოლო ღვთის წყალობისთვის გარჯისა, როდესაც მორწმუნე მისთვის სასიამოვნო ჩვევებზე უარს ამბობს, სიამოვნებას თმობს და ამას გარკვეულ საზღვრებს შორის სირბილით გამოხატავს. საი სოცოხლის სიმბოლოა, ძიების, მცდელობის, მისწრაფებისა და გარჯის.

როდესაც მომლოცველი საფასა და მერგეს გორაკებს შორის დარბის, ის ამ დროს

მავნე მიდრეკილებებს გაურბის, რომლებიც დმერთს აშორებენ.

საფასა და მერვეს გორაკებს შორის სირბილი დმერთის გარდა ყველა და ყველაფრისგან გაქცევას გამოხატავს. საი არის მცდელობა, გარჯა საიმისოდ, რომ დმერთის კმაყოფილებას მივაღწიოთ.

ჰაჯზე მყოფი მომლოცველისთვის საის რიტუალის შესრულება სულიერი ჭუჭუისგან განთავისუფლების სიმბოლოა. ეს არის ცდუნებებისგან, ცოდვებისგან გაქცევის გამოხატვა.

დმერთის ოჩეული ადამიანები თავიანთ გულებში არსებულ შურს, ბოლმას, სიძულვილს, მრისხანებას, ვნებას, ამპარტავნებას და სხვა მსგავს ნეგატიურ გრძნობებს განდევნიან. ისინი სხვათა განაწყენებას და გულის ტკენას უკიდურესად ერიდებიან. გამომდინარე აქედან, ქაბას მოლოცვის მიზანი ზნეობრივი განწმენდა, საკუთარი სულიერების განმტკიცება, სულიერად აღზრდა და ცდუნებებისგან გათავისუფლებაა, რის შედეგადაც ლვთისადმი სიახლოვეს ვიგრძნობთ. დმერთი ასეთი ადამიანის გულშია.

და ბოლოს, ჰაჯი საკმაოდ ხანგრძლივი მგზავრობა და რთულად შესასრულებელი

დეთისმსახურებაა. გამომდინარე აქედან  
მისი შესრულება დიდ მონდომებას მო-  
ითხოვს. შესაბმისად მისი შესრულებით  
მორწმუნეს ყველა ცოდვა მიეტვება, გარ-  
და სხვა ადამიანების უფლებების დაღვე-  
ვისა და ისეთივე განწმენდილი დაბრუნდე-  
ბა, როგორც ახალშობილი.



# ეფრეძე, ეფრეძე... პავ

---

აბდურიაშვილი აქბაშ

ჰაჯი -ღმერთისკენ და მის მიერვე მოტანილი მიზნებისკენ სვლა...სულიერად და ხორციელად მისკენ ლტოლვა... დიადი ღმერთის სტუმრად ყოფნა... იმ მომლოცველთა თანამგზავრობა, რომელთა ვედრებაც მიიღება... სულიერების უსაზღვრო წყალობისგან საკუთარი წილის მიღებაა.

ეს არის მომენტი, როდესაც მონა თავისი გამჩენისკენ მიიღების და მის წინაშე წასდგება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი საშუალება იმისა, რომ მსახურმა თავისი გამჩენის წინაშე წარსდგეს და მისი უსაზღვრო წყალობითა და მიმტევებლობით ისარგებლოს. ეს მოგზაურობა ვედრებითა და მუდარითაა საკე.

ჰაჯის დროს მოსალოცი ყოველი ადგილი ისეთი თვისებითაა დაჯილდოვებული, სადაც მომლოცველთა მონანიება შეიწყნარება. ყველაფერი, რაც მსახურს სურს

დიადი ღმერთისგან, აქ ევედრება და ზე-  
აპყრობილი ხელები უაპსუხოდ არ რჩება.

ამ მოგზაურობის დასაწყისშივე მსახუ-  
რი სრულად მიეკედლება გამჩენს, რათა ჰა-  
ჯის რიგიანად შესრულება შეძლოს. მომ-  
ლოცველმა ყველა და ყველაფერი თავის  
ჭეშმარიტ მფლობელს უნდა მიაბაროს და  
ამ უდიდესი ნდობისა და თავშესაფარის  
პირობებში ჰაჯისთვის მოგზაურობა დაიწ-  
ყოს.

უპირველეს ყოვლისა მორწმუნე დიადი  
ღმერთის სახელს ახსენებს და ტრანს-  
პორტში ჯდება. მომლოცველი ღმერთ  
ევედრება გაუადვილოს მგზავრობა და  
გზაზე მოსალოდნელი შესაძლო დაბრკო-  
ლებებისგან დაიცვას და ამასთანავე და-  
იფაროს მისი ოჯახი. მორწმუნეს სურს  
მოელი გზის განმავლობაში სიკეთითა და  
სათნოებით მოქმედებდეს და ასრულებდეს  
დვთისმსახურებას.

იპრამში შესვლისას მომლოცველი სის-  
ტემატიურად იმეორებს შესაბამის ლოც-  
ვებს და დაცულ ტერიტორიაზე ისე გადა-  
ადგილდება. მომლოცველს სურს, რომ რაც  
შეიძლება მალე მოინანიოს ცოდვები და  
თავი დააღწიოს ეშმაკისეულ ხაფანგებს.

ტავაფის დაწყებამდე მომლოცველები ადასტურებენ, რომ ისინი მიცემული პირობის ერთგულნი რჩებიან და ვედრებაში გამოხატავენ დმერთის სიდიადესა და ძლევამოსილებას.

ტავაფი დვთისადმი აბსოლუტური მიკედლებით იწყება. არამარტო საკუთარი თავის, არამედ მომავალი თაობების სიკეთისათვის დიად დმერთს მივეკედლებით. ვედრება და მონანიება, ცოდნის შეძენა, სულიერი სიხალვათე და ყოველგვარი სათხოებისკენ სწრაფვა მომლოცველის თანმდევი სურვილია.

ჰაჯის დროს მომლოცველის სურვილია გათავისუფლდეს ყოველგვარი ეჭვების, ურწმუნოების, თვალთმაქცობის, უსამართლობისა და ზნედაცემულობისაგან და დმერთს ევედრება, რომ მუსლიმად გარდაცვალებისა და სამოთხეში დამკვიდრების წყალობა მოჰქმადლოს.

ტავაფის შემდეგ ვედრება იწყება და შემდეგ ნამაზი სრულდება. მომლოცველი ღმერთს მოთმინებას ევედრება და ასევე სთხოვს, რომ მჩაგვრელთა და ურწმუნოთა ზეწოლისგან გადაარჩინოს ყველა მუსლიმი. ამის შემდეგ საი სრულდება და ისევ და ისევ ვედრებით გრძელდება.

ბოლოს არაფატზე მიდიან, სადაც ვედრების გვირგვინია. ვედრების გულწრფელობა აქ უკიდურესად მატულობს. აქ ვედრება ცრემლებითაა გაჯერებული.

ეს დღე მიტევების დღეა, მაგრამ მორწმუნის პასუხისმგებლობა იმატებს და ლვთისადმი მიცემული პირობა განახლდება. შემდეგ მინაში, ეშმაკის ჩაქოლვის რიტუალი სრულდება. ეს არის ყოველგვარი მავნებლობისა და ცოდვებისკენ მიდრეკილებების განდევნის გამოხატულება. მსხვერპლშეწირვა კი იმის დასტურია, რომ ლვთის სიყვარული ყველა სხვა სიყვარულზე დიადია.

ვედრება სახლში დაბრუნებამდე გრძელდება. ამ წმინდა ადგილებში აღვლენილი ვედრების შედეგად მომლოცველებს იმედი აქვთ, რომ შუამავლის მიერ გადმოცემული სასიხარულო დაპირება შესრულდება: „ვინც ლვთის გულისათვის პაჯს შეასრულებს და ცუდი სიტყვისა და საქმისგან თავს შეიკავებს, სახლში ისეთვე განწმენდილი დაბრუნდება, როგორც ახალშობილი“.

ღმერთო, ამ ძვირფას დროს აღვლენილი და აღსავლენი ყოველი ვედრება მიიღე და მოელ დედამიწაზე მშვიდობა და კეთილდევობა დაამკვიდრე.



# პატი სხვა გინერალურები და წანაპირობობის საუკის

დოქ. ომერ ილმაზ

ჰაჯი, როგორც დვთისმსახურება ისლამის ხუთი საფუძვლიდან ერთ-ერთია და ის კონკრეტულ დროსა და ადგილას სრულდება. მორწმუნები ვალდებული არიან შესაძლებლობის მიხედვით ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც შეასრულონ ჰაჯი. როგორც ყველა დვთისმსახურებას, ჰაჯსაც გააჩნია თავისი დებულებები და წესები, როგორიცაა ფარზი, ვაჯიბი, სუნნეთი და ა.შ. სხვა დვთისმსახურებისგან განსხვავებით ჰაჯს გააჩნია მეტი სიმბოლური რიტუალები და უფრო სიდრმისეულ დაკვირვებას საჭიროებს. ჰაჯის შესრულებისას საჭირო ყველა რიტუალის და პირობის შესრულებისას აუცილებელია მის სულსა და არსეს ჩავწევდეთ. შესაბამისად ჰაჯისგან მეტი სარგებელი რომ ვნახოთ ყოველი რიტუალის სიღმეებში უნდა ჩავწევდეთ.

„ის არის მასპინძელი (ქაბა, დმერთის სახლი) და ჩვენ მისი სტუმრები ვართ (დუიუფურრაჟმან)

ყურანში ჰაჯი 55 ადგილზეა ნახსენები. ჰაჯის სურას 27 აიათში მითითებულია, რომ ქაბას მოღოცვისკენ შუამავალი იბრაჟიმი მოგვიწოდებს.

ჰაჯზე წასასვლელად შესაძლებლობისა და საშუალების ქონა დიდ წყალობად მიიჩნევა. შუამავალი ჰაჯად მიმავალ მომლოცველებს ლმერთთან მიმავალ ელჩებს ადარებდა.

ჰაჯი მთელი სულითა და გულით უნდა შესრულდეს. ჰაჯის მოყოლა, ან აღწერა შეუძლებელია, ის თავად უნდა გამოსცადო და იგრძნო. ჰირას მთაზე ყურანის ზემოვლინება, სევრას გამოქვაბულიდან ჰიჯრის დაწყება, არაფატზე გამოსამშვიდობებელი ქადაგების დედააზრი, ქუბაში შუამავალთან შეხვედრის მრელვარება ხელახლა უნდა ვიგრძნოთ.

ჰაჯი მატერიალური სამყაროდან მეტაფიზიკურ სამყაროში მოგზაურობა უნდა იყოს. ამიტომაა, რომ ამ წმინდა ადგილებში მყოფი მომლოცველი ამქვეყნიურ სიტყვასა და საქმეს ნაკლებ დროს უნდა უთმობდეს და ძირითადად ლმერთზე, სამყაროზე ფიქრით უნდა იყოს დაკავებული. თუ კი მომლოცველი ასე მოიქცევა უსასრულობიდან მომდინარე ხმას გაიგონებს და იგრძნობს.

პაჯზე მყოფი მომლოცველის ძირითადი მიზანი არა სახლის, არამედ სახლის პატ-რონის დანახვაა. ამ სფეროში განსაწავ-ლული ხალხი ამბობდა, რომ პირველ ჯერ-ზე მათ შეძლევს სახლის დანახვა, მეორე ჯერზე მათ დაინახეს სახლიც და მისი პატრონიც, ხოლო მესამე ჯერზე მათ მხო-ლოდ სახლის პატრონის დანახვა შეძლეს.

პაჯი, როგორც ხშირად ამბობენ, ეს არის ერთ-ერთი ამ მხრივ გამორჩეული დვთისმ-სახურება, რომლის დროსაც ღმერთსა და ადამიანს შორის პირდაპირი კავშირია. როდესაც მისი სახლის ირგვლივ ტავაფს ასრულებ, ყველაზე გულწრფელი სიტყვე-ბით ევედრები და ყველა ჩადენილ ცოდ-ვას მის წინაშე აღიარებ. აქ ნალოცი ერ-თი მუხლი ნამაზი სხვაგან ნალოც ათას მუხლ ნამაზზე მეტია (ბუჭარი, სალათუ ფი მესჯიდი მექქე 1). აქ ლოცვისას ადამიანი განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობა-შია და ფიქრობს, იქნებ მეორედ ვეღარც კი მოვიდე ამ ძვირფას ადგილებშით და ნამაზის ლოცვისას ღმერთთან პირისპირ დარჩენის სიტკბოებას გრძნობს. აქ მყოფი მომლოცველი ეძებს გზებს „ამ დათვლილ დღეებში უთვალაგი სარგებელი“ როგორ ნახოს.

როგორც თასავვუფის ტრადიციაშია მი-თითებული, პაჯი არის ფიზიკური სამყარო-

დან არამატერიალურ სამყაროში მოგზაურობა. მიქათის საზღვართან მომლოცველი ტანისამოსს იცვლის და იპრამში შედის. ის ასე დგება არაფატზე. ასე ასრულებს საის საფასა და მერვეს შორის. სწირავს მსხვერპლს. ასრულებს ეშმაკის ჩაქოლვის რიტუალს და ამით საკუთარ ცდუნებებსა და ცოდვებისკენ მიდრეკილებებს ებრძის. ის აქ ეზიარება სულის სიხალვათეს და სამშობლოში ბრუნდება.

ჩვენ ვიცით, რომ პაჯის დროს წარმოთქმული ყოველი სიტყვა და შესრულებული ყოველი ქმედება სიღმისეულად მნიშვნელოვანია. იპრამი, რომელსაც მომლოცველი იცვამს სრულიად სადაა, რაც იმის სიმბოლოა, რომ მომლოცველი რეალურად არაფერს ფლობს. თელბიე ყოველ წამს დვთისადმი მინდობისა და „უკიდურესი მორჩილების გამოხატავს. „პაჯერულ ესვედ“-ზე მისალმებით მსახური დვთისადმი მიცემულ სიტყვას განაახლებს (არაფ 172). ტავაფი და საი სიცოცხლეს, მოძრაობას, დინამიკას გამოხატავს. არაფატი კი ადგილია, სადაც ადამიანი საკუთარ თავს პოულობს. ადამიანი საკუთარი თავის შეცნობის გზით დმერთს ცნობს.

ადამიანები მთელი მსოფლიოდან, დღეში ხუთჯერ, ამ ადგილისკენ სახით დგა-

ბიან და ნამაზს ლოცულობენ. შენთვის უკვე ეს ადგილი ათასობით კილომეტრით დაშორებული აღარ არის. ის უკვე შენს თვალწინაა. შენ აქ შეხვდები ყველა ენაზე მოლაპარაკე, ყველა კანის ფერისა და კულტურის ადამიანებს. აქ ნახავ, რომ არავინ არავისზე უპირატესი არ არის და ყველანი ერთ დონეზე, მწკრივებად მდგარი, ყოველგვარი იერარქიისა და პროტოკოლის გარეშე, ასე თანასწორ მდგომარეობაში ღმერთს ეთაყვანებიან. აქ არავინ არავის საქმეში არ ერევა და არვინ აარავის აკრიტიკებს თუ ვინ, რა ფორმით ასრულებს ნამაზს. აქ არავინ კამათობს და არ ჩხუბობს. არავინ არავის ტკენს გულს.

ისლამის სწავლულებს შორის იყო აზროა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ რა კავშირია ღმერთის სახლსა და ადამიანის გულს შორის. სწავლულები მივიდნენ გადაწყვეტილებამდე, რომ ადამიანის გული უპირატესია, რადგან ის ღმერთმა გააჩინა, ხოლო ქაბა ადამიანმა ააშენა. თასავვუფის კლასუკურ ლიტერატურაში ვკითხულობთ: „მე არც მიწაზე და არც ცაში არ დავეტევი, მე მორწმუნის გულში ვარ“ (გაზალი, იპია, 3, 14).

ქაბას ირგვლივ ტავაფის შესრულებისას ის მარცხენა მხარეს რჩება, ესეც კი

ქააბასა და ადამიანის გულს შორის ურ-  
თიერთობის მიშანია.

მომლოცველები ათასობით კილომეტ-  
რის მანძილიდან, მარავალი დაბრკოლების  
მიუხედავად აქ მოდიან. ბუნებრივია სტუ-  
მარი თავის საყვარელ ადგილას სტუმრო-  
ბისას ხელცარიელი არ იქნება. თმცა, რა  
უნდა მივუტანოთ ჩვენ ცოდვილებმა, როცა  
მას არაფერი სჭირდება? ან რა ფასი ექნე-  
ბა ჩვენს მიტანილ საჩუქარს, ვიციო? ჩვენ  
საჩუქარს ვერ მივუტანთ, ჩვენ ჩვენი ცოდ-  
ვები მიგვაქვს და შენდობას ვევედრებით.

აქ ყოფნისას ეველა ხვდება, რომ ნაკლო-  
ვანებითა და ცოდვით დროის გატარებას  
აზრი არ აქვს. ისევ ჯუნეიდი ბალდადის  
ერთ-ერთ მონათხობს შემოგთავაზებთ:  
ჯუნეიდი ქააბას მოსალოცად იყო. როდე-  
საც ის ქააბასთან მივიდა, დაინახა, რომ  
ერთი ქალი ძირს იწვა და ფეხები ქააბას-  
კენ ჰქონდა. „მე რომ აქაური მეთვალყურე  
ვიყო ამ ქალს მკლავშ ხელს წავავლებდი  
და აქედან გავაგდებდი“ - გაიფიქრა ჯუნე-  
იდმა. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ის უკვე  
ტავაფს ასრულებდა მხარზე შეხება იგრ-  
ძნო. მიიხედა და ის ქალი დაინახა. ქალი  
მისკენ მიიწია და ყურში უჩურჩულა: „მე  
რომ აქაურობის მეთვალყურე ვიყო, მკავში  
ხელს მოგკიდებდი და აქედან გაგაგდებდი,

რადგან ბალდადიდან აქ მოსულმა დვთისმ-სახურება მიატოვე და სხვათა ნაკლოვანე-ბების თვალიერება დაიწყე“.

ღმერთის წიგნში წერია, რომ ეს არის დაცული ტერიტორია. ჰაჯის დროს დაუშ-ვებელია ცუდი სიტყვა, ლანძღვა, კამათი, ჩხუბი... მართლაც და მილიონობით ადამი-ანი ერთ სივრცეშია თავმოყრილი და არც ჰარემში დაა რც მის გარეთ კამათსა და ჩხუბს ვერ ნახავთ. თუ ორი კაცი შელაპა-რაკდება, მესამე მაშინვე „სელლუ ალა მუ-ჰამმედ“ ეტყვის და შუამავლის ხსენებით მაშინვე არიგებს.

საბოლოოდ ისევ და ისევ შუამავლის ჰადისს შეგახსენებთ, რომლის მიხედვითაც მომლოცველი, რომელიც სრულყოფილად შეასრულებს ჰაჯს, სამშობლოში ისეთი-ვე განწმენდილი დაბრუნდება, როგორც ახალშობილი. (ბუჰარი, მუჰარ 9-10)

მომლოცველმა ამ ჰადისი სასიხარუ-ლო გზავნილზე უნდა იფიქროს მუდამ და ამ ახალი ფურცლიდან დაწყებულ ცხოვ-რებას ცოდვის ლაქები აღარ დაამჩნიოს. გვახსოვდეს, რომ ამ მიწაზე მხოლოდ „მდიდრები“ კი არ მიდია, არამედ ისინი, ვინც იქ ღმერთმა მიიპატიუა.

წმინდა წიგნი გვასწავლის, რომ განკითხვის დღეს ჩვენი ქონება და შვილები ვერას გვარგებენ, ჩვენთვის იქ სუფთა გულია მნიშვნელოვანი(შუარა 88-89). შესაბამისად, ჰაჯად წასული ყოველი მომლოცველი სუფთა გულის მოსურნე უნდა იყოს და ამისთვის ყველაფერი გააკეთოს.



# ლებბის օლიაშუმა ლებბის

ომერ მელექე



„ლებბიქ ალლაჟუმმე ლებბიქ, ლებბიოქ ლა შერიქე ლექე ლებბიქ, ინნელ ჰამდე ვენნიმეთე ლექე ველ მულქ. ლა შერიქე ლექ“. (მუხლიმ, პაჯ 3)

„ბრძანე ღმერთო, ბრძანე! შენს მოწოდებაზე მთელი ჩემი გულით მოვედი. შენ არა გყავს ტოლი და სწორი. ბრძანე ღმერთო, ბრძანე! ყოველი ქება შენ შეგფერის. შენია წყალობა და ფლობა ყოვლისა. შენ არა გყავს ტოლი და სწორი!“

ეს სიტყვები გამოხატავს პასუხს ღმერთის ბრძანებაზე, რომელმაც შუამავალ იბრაჟიმს ქაბას აგება და ადამიანების იქ მიპატიჟება უბრძანა და ამავდროულად ეს არის დიადი ღმერთის წინაშე უზომო მინდობისა და ერთგულების დადასტურება.

შუამავალმა იბრაჟიმმა, ღვთის ბრძანებით ქაბა ააგო და მას თავისი შვილი, ის-

მაილიც ეხმარებოდა. ქაბას მშენებლობის დასრულების შემდეგ ღმერთმა იბრაჟიმს უბრძანა, ქაბაში სისუფთავე დაეცვა, რათა იქ მომლოცველებს ლოცვა და თაყვანისცემა შესძლებოდათ.

„აუწყე ხალხს ჰაჯის შესახებ და მოვლენ ისინი შენთან ფეხით და ჩქარმავალი აქლემებით ქვეყნის შორეული მხარეებიდანაც! (ჰაჯ 27)

ვარაუდის თანახმად შუამავალი იბრაჟიმი ცოტა ხნით შეყოყმანებულა, რადგან დაეჭვდა ამ უკაცრიელ უდაბნოში, სადაც არაფერი ხარობს ვინ მოვაო. მექას ტურიტორიაზე მხოლოდ ქვები და კლდეები იყო, არავინ სახლობდა და გამვლელიც არსაიდან გაივლიდა.

ღმერთმა უბრძანა იბრაჟიმს მხოლოდ შეხმიანებოდა ხალხს და იბრაჟიმმაც მთელი კაცობრიობა ქაბას მოსალოცად მოიპატიუა.

ჰაჯი სიყვარულია, ნოსტალგიაა იმ დროისა, იმ ადგილებისა, სადაც დვთის შუამავალს და მის მეგობრებს უცხოვრიათ.

ყოველ წელს, ამ სიყვარულის მატარებელი ათასობით, ასი ათასობით ადამიანი,

როგორც ნიაღვარი ისე მიედინება მექას-კენ. მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსუ-ლი მომლოცველები ერთხმად აღავლენენ ლოცვა-ვედრებას და მათ ამ გრგვინვას ცა და დედამიწა უერთდება: „ლებბეიქ!“

გვიბრძანე დმერთო. შენ გვიხმე და გუ-ახელით. შენი მოწოდების შესაბამისად მთელი ჩვენი სულითა და გულით მოვდი-ვართ. გვიბრძანე დმერთო! შენ არა გყავს ტოლი და სწორი. ქება დიდება შენ შეგშ-ვენის. შენ ხარ ერთადერთი, რომელსაც არ ჰყავს ტოლი და სწორი. გვიბრძანე დმერ-თო!



## სანდეკიონსონ



შერეფ გოქუშ

რაც წახვედი გულში რაღაცის დაკარგვას ვგრძნობ. აღუწერელ ტკივილს განვიცდი. ვეძებ, ირგვლივმყოფებს ვეკითხები, მაგრამ ვერ ვპოულობ დაკარგულ გრძნობებს. უეცრად ყველა სურათი ქრება, ირგვლივ ყველაფერი შავდება და მე ისევ უხმოდ, მარტოსული ვარ. ვზივარ ფანჯარასთან და მთებს გავყურებ. ვაკვირდები ადამიანთა გაუზრებელ მოძრაობას. უეცრად კითხვები წამოტივტივდა: ვინ ვარ მე, რა ვარ? რატომ ვარ ამ ქვეყნად? რა უნდა გავაკეთო, რომ დმერთის კარგი მსახური ვიყო? როგორია დმერთი და რა სურს მას ადამიანებისგან? და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხების ძიებისას მაშინვე შუამავლები გვახსენდება. ადამი, ნოე, იბრაჟიმი, იუსუფი, იესო და მუჰამმედი. გულში წარმოქმნილი ტკივილები მაშინვე ქრება და ვმშვიდდები. ისეთი სიმშვიდე მეუფლება, რომ მისი აღწერა შეუძლებელია. მთელი ხმით მინდა ვიყვირო და მთელ სამყაროს გავაგებინო,

რასაც ვგრძნობ და რა ჭეშმარიტებასაც ჩავწედი. შემდეგ სირცეხვილის გრძნობა მეუფლება ჩემი და თანამორწმუნე მმების სახელით. ჩვენი ეს მიხვედრა, ეს ჩაწვდომა დროებითი რომ არის ამის გამო შემრცხვა. როგორ დავშორებულვართ შენგან, შუამავალო. როგორ დავშორებულვართ იმ ღირებულებებს, რამაც ჩვენ ჩვენად გვაქცია. ჩვენ ისე არ ვებრძვით ბოროტებას, როგორც ამას შენ აკეთებდი 610 წლიდან გარდაცვალებამდე. მოდი შუამავალო და ჩვენი გულები შენი ნათელით ისევ აავსე. ისევ ჩაგვკიდე ხელი და ამ ღრმა ძილისგან გამოგვაფხიზდე. რა იქნება, დაგვეხმარო ისევ. შენ, რომელმაც შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე დახმარება მოვალეობად აქციე. ამ გზაზე არაფერს იშურებდი. ადამიანები ჭეშმარიტ გზაზე დააყენე და ურწმუნოების ჭაობიდან იხსენი. როგორც კი შენზე დაკისრებული ეს წმინდა მოვალეობა შეასრულე, ისევ გამჩენთან დაბრუნდი.

გარდაცვალებამდე კი ანდერძად დაგვიტოვე ძვირფასი რჩევა, რომ უნდა მივყვეთ წმინდა წიგნს, ყურანსა და შენს სუნას. სამწუხაროდ ვერ ვუპატრონეთ შენს ანდერძს. ყველას სახლში გვაქვს შენახული ციკ ოთახებში და ვერა და ვერ გადავიტანეთ გულებში.

მოდი შუამავალო. მოდი და ნახე ჩვენი მდგომარეობა. მოდი და გამოგვადვიძე ამ ღრმა ძილისგან. გვაჩვენე გზა ნათელი; ჩაგვკიდე ხელი და ერთად ვიაროთ. ხელახლა აგვიხსენი ის ლამაზი რწმენა. კიდევ ერთხელ შეგვაყვარე თავი. ისეთი სიყვარული ჩაგვინერგე, რომ ჩვენი გულუბიდან საერთოდ გაქრეს შური, ბოლმა და ამპარტავნება. მოდი, რათა ხელახლა ფეხზე დაგვაყენო და გონს მოგვიყვანო. მოდი, რათა მსოფლიოს მუსლიმებმა ამქვეყნიურ გამორცენას არ გადაყვნენ და ერთიმეორე არ გაყიდონ. მოდი ძვირფასო, მოდი და ნახე ჩვენი მდგომარეობა.

ვიცი, რომ შენ ახალგაზრდები ძალიან გიყვარდა. მათ, როგორც მომავალის არქიტექტორებს, ისე უყურებდი. მათ შენს გულში განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. მათზე განსაკუთრებით ზრუნავდი. ყოველთვის ცდილობდი ისლამის ზნეობრივი გამოხატულება, რაც შენს ცხოვრებაში აისახებოდა, მათთვის შეგესწავლებინა. მხოლოდ ერთი რამ გინდოდა ამ ახალგაზრდებისგან. მათ თაობიდან თაობაზე უნდა გადაეცათ ის, რაც მათ ასწავლე. მათგან ზოგმა ეს ყველაფერი საუკეთესოდ შეასრულა, მაგრამ დღეს რა ხდება? სად არიან ის ახალგაზრდები, ის სწავლება, ის ზნეობა, ის ზრდილობა?...

შუამავალო, სიტყვას გაძლევთ ხელახლა შევისისხლხორცებთ შენს მიერ მოტანილ წმინდა წიგნს და შენს სუნას შევასრულებთ. განკითხვის დღეს ნახავ, რომ ეს სიტყვა შევასრულეთ. მთელი კაცობრიობა ერთი ღმერთის რწმენის ქვეშ გაერთიანდება. ჩვენ შენი გზით ვივლით ყოველთვის. როცა უკვე გიპოვეთ, ადარასდოდეს დაგკარგავთ.

ღმერთია მოწმე, ჩენ ძალიან გვიყვარხარ, შუამავალო! შენც შეგვიყვარე. ისე შეგვიყვარე, რომ ამ სიყვარულში დაფერფლილებმა გამჩენთან მიგაღწიოთ.



## მისი სიყვარული



ბაჟათთინ აკბაშ

შუამავლის მიმართ გამოხატული დიდი სიყვარული მორწმუნეთა გულებში სათნოებისა და სიწმინდის განცდას ინარჩუნებს. მედინას გახსენებაზე კი მორწმუნეთა გულები უსაზღვრო მონატრებით ივსება. ვინც მოსალოცად ვერ მიდის წამსვლელებს აცილებენ და სულიერ მდელვარებას განიცდიან.

რაც შეეხება წამსვლელებს, ისინი სულ სხვა სულიერ მდგომარეობას განიცდიან, დელავენ, ეჩქარებათ და ერთი სული აქვთ, როდის ჩააღწევენ ამდენი ხნის ნალოდინებ ადგილებში, რათა თვალცრემლიანმა მოილოცონ ის ადგილები, სადაც შუამავალს უცხოვრია. ყველა ადამიანს სურს ბედნიერი იყოს, მაგრამ ბედნიერებას თავისი აუცილებელი პირობები გააჩნია

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბედნერებას სჭირდება მორალი, ზრდი-

ლობა, ლირსება, ზნეკეთილობა და სინდისი. ზოგადად ბედნიერებას გარეთ, შორს ეძებენ. არადა ის იმდენად ახლოა, რომ ბევრი ადამიანი ამას ვერ ამჩნევს. ბედნიერება არა გარეთ, არამედ ადამიანის შიგნითაა.

ბედნიერებას ბევრი წინააღმდეგობა ხვდება ხოლმე. სულიერი შფოთვა, საკუთარი სურვილების მონობა და ბედისწერაზე გაწყრომა ბედნიერების ხელის შემშლელი ფაქტორებია. თუ ადამიანი ისწავლის გაექცეს ამ დაბრკოლებებს და ცოტათი კმაყოფილებას მიეჩვევა, ის შეძლებს იყოს ბედნიერი.

შეიძლება ძალიან მდიდარი იყოთ, მაგრამ ამავე დროს არ იყოთ ბედნიერი. მეორეს შერივ არსებობენ ადამიანები და არც თუ ისე ცოტა, რომლებსაც თავი ძლივს გააქვთ, მაგრამ მაინც ბედნიერები არიან. რაც მთავარია არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნამდვილი სიმდიდრე, ეს სულიერი სიმდიდრეა. შესაბამისად, ადამიანის ბედნიერების ცენტრი და მისი ფუძე სულია. ამიტომაა, რომ ბედნიერებისთვის აუცილებელია გულიდან ამოვირეცხოთ შური, ბოლმა, ბრაზი, მტრობა და სხვა მსგავსი ნეგატიური გრძნობები.

შური ყველაზე დიდი დამანგრეველი გრძნობაა. ის ადამიანის კარგ ქცევებს

ანადგურებს და შურიანი ადამიანები ვერასოდეს ხდებიან ბედნიერები. მათ არ სურთ სხვათა წარმატება და ზოგადად კარგად ყოფნა. მათი სულიერი სიმშვიდის მოპოვება შეუძლებელია.

სიმართლე, სამართლიანობა, ზნეკეთოლობა, შემწყნარებლობა და მსგავსი გრძნობები ადამიანურობის ძირითადი მაჩვენებლებია. მათი არსებობა მნიშვნელოვანია როგორც ადამიანის, ისე მთლიანად საზოგადოებრივი სიმშვიდისა და კეთილდღეობისათვის. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დვთით ბოძებული სულიერი და მატერიალური სარჩოსთვის ღმერთს მადლობა შევწიროთ და ზოგადად, ადამიანებთან ურთიერთობაშიც მადლობის გადახდა არ უნდა დაგვავიწყდეს. დვთისადმი მადლიერების გზა, მის მიერ გაჩენილი ადამიანების მიმართ მადლიერ დამოკიდებულებაზე გადის. ბედნიერების მიღწევისთვის მადლიერების გრძნობა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბედნიერება სწორ ადგილას ვეძებოთ. დროებითი და ფუჭი რაღაცაების ფლობა ბედნიერება არ არის, რადგან ვისაც ასე მიაჩნია და ბედნიერებას ასეთ ფუჭ რაღაცაებში ხედავს, უმეტესწილად ბედნიერების მაგივ-

რად უბედურდებიან და დეპრესიაშ ვარ-  
დებიან, რადგან ფუჭი რაღაცაები დროე-  
ბითია და ადამიანს, როგორც წესი ისინი  
მალე ეცლება ხელიდან. ასეთი დროებითი  
და ფუჭი რამეების ჩამოთვლა შორს წა-  
გიყვანს. მაგალითად ფული, ქონება, სახე-  
ლი, თანამდებობა, გარეგნული სილამაზე,  
პოპულარობა და ა.შ. ყველამ ვიცით, რომ  
ესენი და მსგავსი რამეები ბედნიერებისთ-  
ვის საკმარისი არ არის. ქვეყნად მრავალი  
ადამიანია, ვისაც ამათგან ერთ ან რამოდე-  
ნიმე გააჩნია, მაგრამ მათ შორის ბედნიერი  
ცოტაა.

იმ ადგილების მონახულება, სადაც შამა-  
ვალი ცხოვრობდა, ადამიანს განსაკუთრე-  
ბულ სიამოვნებას ანიჭებს. თითქოს ჩვენს  
თვალშინ ცოცხლდება მისი ცხოვრებისე-  
ული ეპიზოდები. თითქოს მისი სიტყვები  
ახლაც ყურში ჩაგვესმის და ეს უფრო მეტ  
სურვილს აღმრავს უფრო კარგად გავუ-  
გოთ მას. განა შეიძლება სამყაროს წყა-  
ლობად მოვლენილი შუამავალი მოინახუ-  
ლო და გრძნობები არ მოგეძალოს?! ვინც  
იქ ჩადის იქაურ სულიერ ატმოსფეროს  
მეტნაკლებად აუცილებლად შეიგრძნობს.  
ბუნებრივია შეგრძნების ხარისხი დამოკი-  
დებულია პიროვნების რწმენასა და მზაო-  
ბაზე.

შეუამავლის საფლავის წინ გავლისას მომლოცველები ლოცვას და სალამს უძღვნიან და ამავე დროს განსაკუთრებული შინაგან სიმშვიდეს გრძნობენ. ამავდროულად ისინი განსაკუთრებულ მღელვარებას გრძნობენ. ზოგი აშკარად ტირის, ზოგიც თვალზე მომდგარ ცრემლს ყლაპავს. ისინი შეუამავლის მონატრებას გრძნობენ და ცდილობენ მისი დალოცვითა და მოსალმებით ეს მონატრება შეიმსუბუქონ. ამ დროს ისეთი გრძნობებით არიან დატვირთულნი, რომ ხალხმრავლობას, ჭყლეტას, სიცხეს და სხვა შემაწუხებელ გარემოებებს ვეღარც კი გრძნობენ. ასეთი სულიერი ატმოსფეროს ნაწილად ყოფნა მუსლიმებისთვის განსაკუთრებული ბედნიერების მომტანია.

მის მიმართ არსებული სიყვარულისა და პატივისცემის სიტყვებით გამოხატვა, რა თქმა უნდა შეუძლებელია. ნათქვამი ხომაა, არსებობს რაღაცაები, რასაც ვერ ახსნი და უნდა გამოსცადოო. სწორედ ასეთი რამაა მისი მონახულება. უნდა გამოსცადო, რომ გაიგო.

ესოდენ დიდი ემოციებით დატვირთული მომლოცველები სამშობლოში დაბრუნებისას განსაკუთრებულ მონატრებასა და მღელვარებას გრძნობენ. ჰაჯიდან ან

უმრედან დაბრუნებული მომლოცველების ნახვა განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს ხოლმე.

საბოლოო ჯამში ცხადია, რომ მორწმუნეთა გულებში შუამავლისადმი სიყვარულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს სიყვარული ყოველი მუსლიმის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ასეც უნდა იყოს. ყოველი მუსლიმის ვალია კარგად იცნობდეს შუამავალს და მის მიერ მოტანილ წმინდა წიგნს, ყურანს. ამ გზით ყოველი მუსლიმის სულიერი განვითარება ხდება. რომ ვიყოთ კარგი მუსლიმები, აუცილებელია კარგად ვიცნობდეთ შუამავალს და მის ცხოვრებას.